

დავით ცხომელიძე, ნატალია ჭილაძე, ეკატერინე მჭედლიშვილი,
ნინო ხარაძე, თინათინ გოგიჩაძე

დოგმა და თანამედროვეობა მეცნიერებაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამედიცინო ბიოლოგიისა და
პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.27>

DAVIT TSKHOMELIDZE, NATALIA CHILADZE, EKATERINE MCHEDLISHVILI,
NINO KHARADZE, TINATIN GOGICHADZE

DOGMA AND MODERNITY IN SCIENCE

Tbilisi State Medical University, Department of Medical Biology and Parasitology

SUMMARY

Entering in the 21st century, human society seems to be a new phase of development. With the use of computer technology, the rates of development of science and the tasks of the future are significantly accelerated. The rapid dissemination and exchange of information among scientists helped to defeat many dogmatic views and bring new ideas and discoveries to the fore. In this paper, we tried to focus on some peculiarities of development and study of twins born by cesarean section. In the end, in our opinion, cesarean birth in the case of twins is a completely normal and acceptable process, both in the case of monozygotic and dizygotic twins, although we would still give a certain preference to physiological birth if it is possible.

Keywords: science, dogma, modernity

21-ე საუკუნეში ადამიანთა საზოგადოება, როგორც ჩანს, განვითარების ახალ ფაზაში გადადის. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მნიშვნელოვნად ჩქარდება მეცნიერების განვითარების ტემპები და უფრო თვალსაჩინო ხდება კაცობრიობის წინაშე მდგარი მომავლის ამოცანები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და უნიკალური კომპიუტერული პროგრამაა Google Translate, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს და მათ შორის მეცნიერებს დაძლიონ ის ენობრივი ბარიერი, რომელიც ადრე ასე მნიშვნელოვნად აფერხებდა ადამიანთა შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებას და ასევე მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამავე დროს ინფორმაციის ასეთმა სწრაფმა გავრცელებამ და გაცვლამ მეცნიერთა შორის ხელი შეუწყო მრავალი დოგმატური შეხედულების დამარცხებას და ახალი იდეებისა და აღმოჩენების წინა პლანზე წამოწევას. გასოვთ ალბათ, თავდაპირველად თუ როგორი მტკიცე და ურყევი იყო ექიმებისა და მეცნიერების განცხადებები იმის შესახებ, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დამზადება მინიმუმ მხოლოდ 5 წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ეს საყოველთაოდ ცნობილი დოგმა ვაქცინების დამზადებისა და მათი გამოცდის ვადების შესახებ უცებ დაიმსხვრა და მეცნიერებმა და ექიმებმა მწარმოებლებთან ერთად მაინც მოახერხეს ახალი ტიპის ვაქცინების არა მარტო დამზადება, არამედ მათი პრაქტიკაში დროული დანერგვა სულ რაღაც 1-2 წლის განმავლობაში. საინტერესო დოკუმენტის მსხვერვა მიმდინარეობს მედიცინის და ბიოლოგიის სხვა დარგებშიც.

ჩვენ შევეცადეთ ჩვენი აზრი დაგვეფიქსირებინა საკუთარ კვებით დაბადებული ტყუპების მშობიარობასთან დაკავშირებით, რამეთუ ეს პრობლემა მედიცინაში სადღეისოდ რეალურად არსებობს და ჩვენი აზრით, ზოგიერთი აქამდე შეუსწავლელი დეტალების გათვალისწინებასაც მოითხოვს. განმარტებისათვის, საკუთარ კვებას ეს არის ქირურგიული ჩარევა, რომლის დროსაც ნაყოფსა და მომყოლს საშვილოსნოდან ოპერაციული გზით - საშვილოსნოს წინა კედელზე ხელოვნურად გაკეთებული ჭრილობიდან გამოაძევენ.

საკეისრო კვეთის ყველაზე დიდი ღირსებაა ბავშვის დაბადება. სწორედ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით დედას, ბავშვს ან ორივეს ერთად უდიდესი საფრთხე ემუქრება. ასე, რომ როდესაც არსებობს საკეისრო კვეთის სამედიცინო ჩვენება, მის ნაკლოვანებებზე ლაპარაკი ზედმეტია. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკეისრო კვეთით მშობიარობის შემდეგ არ ხდება საშვილოსნოს ყელის გახევა, მშობიარობის შემდგომ არ ვითარდება ბუასილი და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები და ა. შ. რაც შეეხება ბუნებრივ ანუ ფიზიოლოგიურ მშობიარობას, ამ დროს ემბრიონი სანაყოფო გზებში გავლისას ფილტვებიდან გამოდევნის იმ სანაყოფო სითხეს, რომელიც მას ჩაყლაპული აქვს მუცლად ყოფნის პერიოდში და რაც ყველაზე მთავარია, დედისაგან სრულად ღებულობს იმ მიკრობიომს, რომელიც ასე საჭიროა შემდგომში, ახალშობილის ნორმალური განვითარებისათვის და გარემოსთან სრულყოფილი ადაპტაციისთვის. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოს ის გარემოებაც, რომ ტყუპების შემთხვევაში საკეისრო კვეთით მშობიარობა მაინც უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე მხოლოდ ერთი ბავშვის შემთხვევაში. რაც არც თუ ისე იშვიათად შესაძლოა გამართლებულიც იყოს ზედმეტი რისკებისაგან თავის დასაღწევად და იმიტაც, რომ ძუძუთი კვების შედეგად და მრავალი სხვა მოცემულობების გათვალისწინებით საბოლოო ჯამში მაინც შესაძლებელია ტყუპების მიკრობიომის თითქმის სრულყოფილად აღდგენა. უფრო მეტიც, თანამედროვე მედიცინა იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი რამ შეიცვალოს. ჩვენ შევადგინეთ სპეციალური კითხვარი იმის გასარკვევად, ჰქონდათ თუ არა ალერგიული რეაქციებისა და ინფექციური დაავადებებისადმი უფრო მეტი მიდრეკილება საკეისრო კვეთით დაბადებულ ტყუპებს ბუნებრივი მშობიარობით დაბადებული ტყუპებისაგან განსხვავებით. გამოკითხვა ვანარმეთ როგორც მონობიოტურ ისე დიზიოტურ ტყუპისცალეებთან და შევეცადეთ გარკვეული დასკვნების გაკეთება ამ მიმართულებით.

ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საკეისრო კვეთით დაბადებული ტყუპისცალები ოდნავ უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილი ალერგიული რეაქციებისაკენ. თუმცა გვქონდა ისეთი შემთხვევაც, საკეისრო კვეთით დაბადებულ ერთ-ერთ ტყუპისცალს ალერგია ჰქონდა ძაღლის ბენვის მიმართ და მეორეს არა. წინა შრომებში ჩვენ ბევრი კვლევა მიუძღვნით განსხვავებების პოვნას პირველად დაბადებულ და მეორედ დაბადებულ ტყუპისცალებს შორის [1,3] და მიუხედავად იმისა, რომ ტყუპებში ადაპტაცია გარემოს ცვალებადი პირობების მიმართ საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს, საბოლოო ჯამში მივედით იმ დასკვნამდე, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყუპისცალების ეპიგენეტიკას, ტყუპისცალების მდებარეობას დედის ორგანიზმში მშობიარობამდე და მშობიარობის დროს და ასევე, სამშობიარო სტრესებს და ძუძუთი კვების თავისებურებებს [1,2,3]. რაც შეეხება ინფექციურ დაავადებებს, თითქმის ყოველთვის, როდესაც ერთ-ერთ ტყუპისცალს ემართებოდა რაიმე ინფექციური დაავადება (ვთქვათ ჩუტყვავილა ან წითურა) მეორეც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ავად იგივე ინფექციური დაავადებით, დროის მცირე ინტერვალის გავლის შემდეგ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ საკეისრო კვეთით დაბადებულ ტყუპისცალებში ამ ტიპის დაავადებები ხანდახან მაინც უფრო მწვავედ მიმდინარეობდა რომელიმე ერთ ტყუპისცალში და შედარებით უფრო რთულად ექვემდებარებოდა მკურნალობას. ჩვენ ვერ ჩავატარეთ სრულყოფილი კვლევა იმასთან დაკავშირებით, ავადდებოდნენ თუ არა ერთი და იგივე ინფექციური დაავადებით სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ტყუპისცალები დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც თითქმის დროის ერთსა და იმავე ინტერვალში საკეისრო კვეთით დაბადებულ ტყუპისცალებში აღინიშნა COVID-19 ინფექცია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ იგივე შესაძლოა მომხდარიყო ბუნებრივი გზით დაბადებულ ტყუპებშიც.

References:

1. Davit Tskhomelidze, Ivliane Surmava, Athira Tomas. Int. J of Pediatrics, 2024;2-4:61-63.

2. Sarah Brewer et al. The Science of Pregnancy. 2019; 190-196.
3. Davit Tskhomelidze, Natalia Chiladze – Int. J of Pediatrics -Tbilisi 2021; 49-50.
4. https://www.youtube.com/results?search_query=vaginal+birth+after+c+section

დავით ცხომელიძე, ნატალია ჭილაძე, ეკატერინე მჭედლიძე, ნინო ხარაძე, თინათინ გოგიჩაძე

დოგმა და თანამედროვეობა მეცნიერებაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

რეზიუმე

21-ე საუკუნეში ადამიანთა საზოგადოება, როგორც ჩანს, განვითარების ახალ ფაზაში გადადის. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მნიშვნელოვნად ჩქარდება მეცნიერების განვითარების ტემპები და უფრო თვალსაჩინო ხდება კაცობრიობის წინაშე მდგარი მომავლის ამოცანები. ინფორმაციის სწრაფმა გავრცელებამ და გაცვლამ მეცნიერთა შორის ხელი შეუწყო მრავალი დოგმატური შეხედულების დამარცხებას და ახალი იდეებისა და აღმოჩენების წინა პლანზე წამოწევას. ამ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გავგვემახვილებინა საკეისრო კვეთით დაბადებული ტყუპების განვითარების და შესწავლის ზოგიერთ თავისებურებებზე. საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით საკეისრო კვეთით მშობიარობა ტყუპების შემთხვევაში საფრთხივით ნორმალური და მისაღები პროცესია, როგორც მონოზიგოტური, ისე დიზიგოტური ტყუპების შემთხვევაში, თუმცა ფიზიოლოგიურ მშობიარობას თუ კი ეს შესაძლებელია, ჩვენ მაინც მივანიჭებდით გარკვეულ უპირატესობას.

ფ